პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 2 თებერვალი, 1943 წ. № 26 (6651). ფასი 20 კაპ.

სტალინური სტრატეგია—აი ეს არის გერმანელ ფაშისტთა ჯარების დამარცხების პირველი მიზეზი. სტალინური სტრატეგია ემყარება ნიჭიერ შემსრულებელთა საბრძოლო კადრებს წითელი არმიის მეთაურთა შემადგენლობის სახით, ემყარება მძლავრ წითელ არმიას, რომელსაც ასეთივე მძლავრი საბჭოთა ზურგი ჰკვებავს.

„პრავდა"

უკანასკნელ საათს

ჩვენმა ჯარებმა დაამთავრეს სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაცია

დონის ფრონტის ჯარებმა 27-31 იანვრის ბრძოლებში დაამთავრეს სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაცია.

ბრძოლების მსვლელობაში, აგრეთვე ტყვედ ჩაგდებული გერმანელი გენერლების ჩვენებით დადასტურებულია, რომ 1942 წლის 23 ნოემბრისათვის სტალინგრადთან გარშემორტყმული იყო მოწინააღმდეგის სულ ცოტა 330.000 კაცისაგან შემდგარი ჯარი, თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე ზურგის, მშენებელთა და პოლიციელთა ნაწილებს, და არა 220.000 კაცი, როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით.

როგორც ცნობილია, სტალინგრადთან გარშემორტყმულმა გერმანელთა ჯარებმა 23 ნოემბრიდან 10 იანვრამდე ჩვენი საარტილერიო ცეცხლისაგან, ჰაერიდან სისტემატური დაბომბვისაგან, ჩვენი სახმელეთო ჯარების იერიშებისაგან, აგრეთვე შიმშილისა, ყინვებისა და ავადმყოფობისაგან 140.000-მდე კაცი დაჰკარგეს. ამრიგად, ჩვენი ჯარების გენერალური შეტევის მომენტისათვის—1943 წლის 10 იანვრისათვის—სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა ჯარები, გამაძლიერებელ ნაწილებთან, ტოდტის სამშენებლო ორგანიზაციასთან, პოლიციელთა ნაწილებთან, არმიებისა და კორპუსების ზურგთან ერთად — 190.000-მდე ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან შესდგებოდნენ.

ეს ანგარიში დაადასტურა გერმანელთა მე-6 არმიის გენერალ-კვარტირმეისტერის თანამდებობის აღმსრულებელმა, დატყვევებულმა პოლკოვნიკმა ფონ კულოვსკიმ, რომელმაც აჩვენა, რომ სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების პირად შემადგენლობაში 10 იანვრისათვის ზურგთან ერთად 195.000 კაცი შედიოდა.

ამ მონაცემთა მიხედვით, სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების გამარჯვებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ტყვეების რაოდენობა 27-დან 31 იანვრამდე 18.000 ჯარისკაცითა და ოფიცრით გადიდდა, ხოლო სულ მტრის გარშემორტყმული ნაწილების წინააღმდეგ გენერალური შეტევის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 46.000 ჯარისკაცი და ოფიცერი.

დღეს ჩვენმა ჯარებმა შტაბიანად ტყვედ ჩაიგდეს სტალინგრადთან გარშემორტყმული გერმანელთა ჯარების მე-6 არმიისა და მე-4 სატანკო არმიისაგან შემდგარი ჯგუფის სარდალი—გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი და მისი შტაბის უფროსი—გენერალ-ლეიტენანტი შმიდტი. ფელდმარშლის წოდება პაულიუსმა რამდენიმე დღის წინათ მიიღო.

გარდა ამისა, ტყვედ წამოყვანილია შემდეგი გენერლები: 1) მე-14 სატანკო კორპუსის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი შლემერი, 2) 51-ე საარმიო კორპუსის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი ზეიდლიტცი, 3) მე-4 საარმიო კორპუსის მეთაური—არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი პფეფერი, 4) 100-ე მსუბუქი ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი სანე, 5) 29-ე მოტოდივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი ლეიზერი, 6) 295-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი კორფესი, 7) 297-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-მაიორი მორიც ფონ დრებერი, 8) 376-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი ფონ დანიელი, 9) 44-ე ქვეითი დივიზიის მეთაური—გენერალ-ლეიტენანტი დიუბუა, 10) მე-4 საარმიო კორპუსის არტილერიის უფროსი—გენერალ-მაიორი ვოლფი, 11) 51-ე საარმიო კორპუსის არტილერიის უფროსი—გენერალ-მაიორი ულრიხი, 12) რუმინელთა მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური—ბრიგადის გენერალი დიმიტრიუ, 13) რუმინელთა 1-ლი საკავალერიო დივიზიის მეთაური—გენერალი ბრატესკუ, 14) მე-6 არმიის სანიტარული სამსახურის უფროსი—გენერალ-ლეიტენანტი ოტო რინოლდი.

მაშასადამე, ტყვედ წამოყვანილია სულ 16 გენერალი.

ტყვედ წამოყვანილია აგრეთვე გენერალ-კვარტირმეისტერის თანამდებობის ამსრულებელი—პოლკოვნიკი ფონ კულოვსკი, 297-ე ქვეითი დივიზიის 524-ე ქვეითი პოლკის მეთაური—პოლკოვნიკი ვილჰელმ პიკელი, 297-ე საარტილერიო პოლკის მეთაური—პოლკოვნიკი ჰენრიხ ფოხტი, 44-ე ქვეითი დივიზიის 132-ე ქვეითი პოლკის მეთაური—პოლკოვნიკი ვეგემანი, 29-ე მოტოქვეითი პოლკის მეთაური ბოლიე სიგურტი, მე-4 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი—პოლკოვნიკი კრომე, 295-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი—პოლკოვნიკი დისელი, რუმინელთა 20-ე ქვეითი დივიზიის 91-ე პოლკის მეთაური—პოლკოვნიკი პოპესკუ და ბევრი სხვა.

გარდა ამისა, ხელთ ვიგდეთ გერმანელთა მე-14 სატანკო კორპუსის, მე-3 მოტოდივიზიის, 297-ე და 376-ე ქვეითი დივიზიების, რუმინელთა მე-20 ქვეითი დივიზიის, 44-ე, 83-ე, 132-ე, 297-ე, 523-ე, 524-ე, 534-ე, 535-ე, 536-ე ქვეითი პოლკების, 39-ე, 40-ე საარტილერიო პოლკების, კავშირგაბმულობის 549-ე საარმიო პოლკის შტაბები და მესანგრეთა საარმიო ბატალიონის შტაბი.

მტრის გარშემორტყმული ნაწილების წინააღმდეგ გენერალური შეტევის განმავლობაში—10-დან 30 იანვრამდე საბჭოთა ჯარებმა, არასრული ცნობებით, მოსპეს 100.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ამავე ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 744 თვითმფრინავი, 1.517 ტანკი, 6.523 ქვემეხი, 1.421 ნაღმსატყორცნი, 7.489 ტყვიამფრქვევი, 76.887 შაშხანა, 60.454 ავტომანქანა, 7.341 მოტოციკლი, 470 საწევარი, ტრაქტორი და ტრანსპორტიორი, 5.700 პარაშუტი, 304 რადიოსადგური, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 575 ვაგონი, 48 ფრთქლმავალი, 229 საწყობი საომარ მასალიანად და საჭურვლიანად და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სვატოვო

ჩვენმა ჯარებმა, ფიცხელი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური სვატოვო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

დიდი სტალინის მხედართმთავრობით წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებას საქართველოს მშრომელები უსაზღვრო აღფრთოვანებით შეხვდნენ

საბჭოთა სტრატეგიული აზრის კოლოსალური მიღწევა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაკთა მიტინგი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა.

მიტინგი გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა ნ. მუსხელიშვილმა. საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა „უკანასკნელ საათს" მიტინგს ვაცნო მეცნიერებათა აკადემიის სწავლულმა მდივანმა ვ. მაჭავარიანმა. სიტყვით გამოსულმა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. ი. პოსტკოვმა ილაპარაკა სტალინგრადთან გერმანელების განადგურებისა და საბჭოთა იარაღის ბრწყინვალე გამარჯვების მსოფლიო მნიშვნელობაზე.

პროფ. ვ. დონდუამ ილაპარაკა სტალინგრადთან მტრის ჯარების უმაგალითო განადგურების შესახებ.—შეხედეთ რუკას და კიდევ უფრო ნათელი გახდება, წითელი არმია ამხანაგ სტალინის გენიალური მხედართმთავრობით რა სისწრაფით ათავისუფლებს საბჭოთა მიწაწყალს. ეს ბრწყინვალე გამარჯვება დაფუძნებულია წითელი არმიისა და საბჭოთა ზურგის მტკიცე, ურყევ გადაწყვეტილებაზე დაიცვას სოციალისტური სამშობლო. ჩვენი ხალხი უძლეველია, რადგან მას აქვს ულეი რეზერვები, რადგან მას ხელმძღვანელობს გენიალური მხედართმთავარი დიდი სტალინი.

მეცნიერ-მუშაკმა ალ. ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენს ქუჩაზეც დაიწყო დღესასწაული. ფაშისტთა 330-ათასიანი ჯარების განადგურება სტალინგრადთან ისტორიაში შევა როგორც საბჭოთა სტრატეგიული აზრის კოლოსალური მიღწევა.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია. მიტინგის მონაწილენი მხურვალედ მიესალმენიან საბჭოთა ჯარებს წითელ არმიას, რომელიც ახორციელებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების დიად სტალინურ გეგმას. საქართველოს მეცნიერების მუშაკები, პირობას იძლევიან, რომ კიდევ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ, ყველაფერს გააკეთებენ ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის.

საბჭოთა იარაღის ძლევამოსილება

უდიდესი იყო სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივის სიხარული და აღფრთოვანება, როცა გაიგეს ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაციის დამთავრება. საერთო მიტინგზე ერთსულოვნად შეიკრიბნენ ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები. როცა ინფორმაციით გამოსულმა პარტკომის მდივანმა ამხ. ი. ნეფარიძემ წაიკითხა ცნობა წითელი არმიის მიერ სტალინგრადის რაიონში მტრის 16 გენერლის ტყვედ ჩაგდებისა და უამრავი დავლის შესახებ, მთელი დარბაზი, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, ტაშის გრიალმა მოიცვა.

— სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარების მიერ მოპოვებული გამარჯვების ბადალი არ იცის ისტორიამ. დიდება საბჭოთა იარაღს, რომლის ძალა საკუთარ ზურგზე ასე გამანადგურებლად გამოსცადა ჰიტლერის მძარცველურმა არმიამ. ფრონტზე ჩვენი ჯარების უმაგალითო შეტევას ვუპასუხებთ შეტევით შრომის ფრონტზე ზურგში,—განაცხადა საქვაბე საამქროს უფროსმა ნ. გურეევმა. მან საამქროს სახელით ვალდებულება აიღო თებერვლის გეგმა შეასრულონ სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავისათვის.

— მტკიცე და ძლიერია ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოციალისტური სამშობლო, რომელსაც ხელმძღვანელობს უდიდესი მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი. ჩვენს ქუჩაზეც დაიწყო დღესასწაული,—სთქვა საქვაბე საამქროს სტახანოველმა ივ. ხელიხოვმა.

სიამაყისა და სიხარულის გრძნობით იყო აღსავსე მიტინგზე გამოსული სტახანოველი მუშების ნ. მაისურაძის, ლ. დემეტრაშვილის ალ. ზარდიაშვილისა და სხვათა სიტყვები. მათ წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებას ახალი საბრძოლო ვალდებულებების აღებით უპასუხეს.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა საწარმოო გეგმის გადაჭარბებით და ვადაზე ადრე შესრულებასთან ერთად იკისრა წითელარმიელთა ოჯახებისადმი მზრუნველობისა და დახმარების გაძლიერება.

ნითელ არმიის წარმატებებს შრომითი წარმატებებით ვუპასუხებთ

დიდი აღფრთოვანება და უსაზღვრო სიხარული გამოიწვია თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშებსა, მოსამსახურეებსა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობამ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ. 1 თებერვალს მუშაობის დამთავრებისას ფაბრიკაში გაიმართა მიტინგი, რომელზეც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ამ სასიხარულო ცნობის შინაარსი მუშებს გააცნო საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის წარმომადგენელმა ამხ. მ. ეიტნიცკაიამ.

მიტინგზე მგზნებარე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ფაბრიკის მოწინავე მუშაქალები—ა. ჩიკვაიძე, რ. კრეიჩმანი, ვ. ობოლაშვილი, ვ. ალახვერდოვი, რ. პიშჩიკი და სხვ. მათი სიტყვები აღსავსე იყო ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებით გამოწვეული სიამაყისა და დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით.

მიტინგზე გამოსულმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ ჟერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე გმირი წითელი არმიის გამარჯვებები მათ აღფრთოვანებენ ახალი შრომითი წარმატებებისათვის.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

—მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენ ვამაყობთ სახელოვანი წითელი არმიის უდიდესი გამარჯვებებით. ეს არის გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების დიადი სტალინური გეგმის ტრიუმფი. ფიცს ვდებთ ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს მტერზე გამარჯვების ინტერესები. ფრონტზე წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებს ვუპასუხებთ შრომითი წარმატებებით ზურგში.

დიდება და დღეგრძელობა გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს

გუშინ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაციის დამთავრებას. დოც. ი. ბაჯაძემ დამსწრეთ გააცნო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა. საბჭოთა ჯარებმა უბადლო გმირობით განახორციელეს სტალინგრადთან მტრის ჯარების გარშემორტყმისა და განადგურების სტალინური გეგმა. ომების ისტორიას არ ახსოვს მსგავსი მაგალითები. საბჭოთა ხალხმა ახალი ფურცელი ჩასწერა სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მან საბოლოოდ გააკმტვერა მითი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ. გმირმა წითელმა არმიამ დიდი სტალინის ბრძნული მხედართმთავრობით გამანადგურებელი დარტყმები აგება ვერაგ მტერს. მაგრამ ბოლშევიკებს არ სჩვევიათ წარმატებებისაგან უზრუნველობა. ჩვენი ვალია უფრო მეტი დაძაბულობით, თავდადებით, ორგანიზებულად ვეწეოთ გამარჯვება ვერაგ მტერზე.

— აღტაცებით ვისმენთ სასიხარულო ცნობას საბჭოთა ჯარების ლეგენდარული გმირობის შესახებ,—ამბობს პროფ. კ. კაპანელი. საბჭოთა ხალხი ამ სწორუპოვარ გმირობას ახორციელებს თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის, ბრძენი ბელადის—დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. დღეგრძელი იყოს ჩვენი მამა და მასწავლებელი, ჩვენი მშობლიური სტალინი!

დარბაზში მეუხარე ოვაცია იმართება დიდი სტალინის პატივსაცემად.

ფრიადოსანმა სტუდენტმა აკ. გობრონიძემ სტუდენტთა სახელით ძმტინგს პირობა მისცა, რომ საბჭოთა ჯარების წარმატებებს აკადემიურ ფრონტზე ახალი წარმატებებით უპასუხებენ.

— სიტყვები არ ჰყოფნის ადამიანს, რომ გამოხატოს ის დიდი სიხარული, რასაც ჩვენი ხალხი განიცდის საბჭოთა ჯარების წარმატებების გამო,—ამბობს პროფ. ილ. ვეკუა.—სტალინგრადის გმირულმა დაცვამ და სტალინგრადის რაიონში ფაშისტი ავაზაკების განადგურებამ მთელი მსოფლიო განაცვიფრა. საბჭოთა ხალხის გმირობის და მამაცობის სულისჩამდგმელი ამხანაგი სტალინი აღგვაფრთოვანებს და ახალ შემოქმედებითს ძალას გვინერგავს. დიდება და დღეგრძელობა ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს დიდ სტალინს!

ყველაფერს გავაკეთებთ გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა სრული განადგურებისათვის

გუშინ მუშაობის შემდეგ თბილისის აბრეშუმსაქაღალდე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი კოლექტივი შეიკრიბა სახელდახელო მიტინგზე, რათა გამოეთქვა თავისი აღფრთოვანება და სიხარული სტალინგრადთან ჩვენი ჯარების მიერ მიღწეული უდიდესი გამარჯვების გამო. დამსწრენი დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ.

სტახანოველმა მჭოველმა ნადია ბაღანაშვილმა, რომელიც ოთხ დაზგაზე მუშაობს, თავის სიტყვაში აღნიშნა, ის წარმატებანი, რასაც ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ მიაღწია ამხანაგ სტალინის გრძნული მხედართმთავრობით. მან მოუწოდა ფაბრიკის მთელ კოლექტივს იმუშაოს უფრო თავდადებით, რათა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ფრონტს საზიზღარი მტრის საბოლოოდ განადგურებაში.

— ჩვენი ჯარების უდიდესი მიღწევები და წარმატებები, — სთქვა მოსამზადებელი საამქროს ქვეოსტატმა ამხ. ანიკო მამაჯანოვამ, —ახარებს არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხებს, არამედ მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებსაც, რომლებიც ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებებში ხედავენ ხსნას ჰიტლერული მიხაკისფერი ჭირისაგან. 16 გენერლის ტყვედ წამოყვანა, მრავალი ჯარისკაცისა და ოფიცრის და უთვალავი სამხედრო ქონების დაკარგვა ჰიტლერელებისათვის უდიდესი ზარალია, რომელიც ასუსტებს ვერაგი მტრის სამხედრო მანქანას.

მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის კოლექტივი ვალდებულებას იღებს გადაჭარბებით შეასრულოს ყველა გეგმა, განამტკიცოს შრომის რკინისებური დისციპლინა, გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, მაქსიმალურად გამოიყენოს შინარესურსები და მტკიცედ გაატაროს მომჭირნეობის რეჟიმი. ფაბრიკის კოლექტივი მზად არის ყველაფერი გააკეთოს მოსისხლე მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის.

ხაშურის მშრომელთა უდიდესი აღფრთოვანება

ხაშური (ტელეფონით). სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მიერ გერმანელთა გარშემორტყმული ჯგუფის ლიკვიდაციის ცნობის მიღებისთანავე ქ. ხაშურში შეიკრიბა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაკომის მდივანი ამხ. აკ. იმნაძე.

ამხ. ა. იმნაძემ მიტინგის მონაწილეებს გააცნო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა ჩვენი ჯარების მიერ სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმულ გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაციის შესახებ. ამ ცნობამ ხაშურის მშრომელთა შორის უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოვიდნენ ორდენოსანი მასწავლებელი პ. კაპანაძე, ე. მაცხონაშვილი, ს. ნოზაძე, ნ. გოცირიძე და სხვ. მიტინგის მონაწილეებმა სურვილი გამოსთქვეს წითელი არმიის XXV წლისთავის შესახვედრად გაძლიერონ დახმარება ფრონტისადმი.

ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა აგრეთვე ხაშურის რკინიგზის კვანძის საწარმოებში. რკინიგზელებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები საწარმოო გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ხაშურის სავაგონო დეპოს კოლექტივმა იკისრა ვალდებულება 25 თებერვლისათვის შეასრულოს თვიური გეგმა და დამატებით გამოუშვას ერთი ვაგონი. ამავე დროს ოსტატ მალაძის ცეხმა იკისრა 150 პროცენტით შეასრულოს თებერვლის გეგმა.

მიტინგები ჩატარდა აგრეთვე სოფელ გომისა და სურამის კოლმეურნეობებში, სადაც წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებათა პასუხად კოლმეურნეებმა იკისრეს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ გაზაფხულს და გადიდონ მოსავლიანობა ფრონტის დასახმარებლად.

საქართველოს სს რესპუბლიკის ზუგდიდის რაიონის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. თეოდორე ამბროსის-ძე ყურაულს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა გეგეჭკორის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც 1.100.000 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის" მშენებლობისათვის.

ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 თებერვლის საღამოს ცნობა

ჩვენმა ჯარებმა, ფიცხელი იერიშის შედეგად, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის დიდი სადგური სვატოვო.

ვორონეჟის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ოაიონული ცენტრები სოვეტსკი, იასტრებოვკა და რკინიგზის სადგური კშენი.

სამხრეთის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი მეჩეტინსკაია, დიდი დასახლებული პუნქტი ზერნოვოი და რკინიგზის სადგური ვერბლიუდი.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი ვისელკი, დიდი სტანიცა ფასტოვეცკაია და სხვა დასახლებული პუნქტები.

ამიერ-კავკასიის ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის სადგური უსტ-ლაბინსკაია.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 8.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

• • •

31 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 10 ტანკი, 70-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. დაამტვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, აეფეთქეს საომარი მასალების საწყობი, გაჩეხეს ტყე და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

დონის ფრონტის ჯარები სტალინგრადის ჩრდილოეთით განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გამწევ ჰიტლერელთა მოსპობას. ჩვენმა ნაწილებმა დღის განმავლობაში მოსპეს 1.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეების რაოდენობა ყოველ საათობით მატულობს და ბევრად აღემატება მოკლულთა რიცხვს. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა, რომლის დათვლაც სწარმოიებს.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები, სძლევდნენ რა მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას. გერმანელებმა ნ ნაწილს პოზიციების წინააღმდეგ კონტრიერიშზე გამოიყვანეს ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი ტანკებიანად და ჯავშანმანქანებიანად. ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა დაიზიანეს ორი ტანკი, 7 ჯავშნიანი მანქანა და გაანადგურეს მრავალი ჰიტლერელი. ჩვენი მებრძოლნი მოწინააღმდეგეს დაედევნენ და დიდი დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

• • •

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს იწყოდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. 6 ნაწილმა შეიპოვარი ბრძოლის შემდეგ დაიკავა მტრის თავდაცვის კვანძი და მოსპო 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 7 ქვემეხი, 16 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, 6 ტანკსაწინააღმდეგო თოფი და 1 საარტილერიო საწყობი. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიში და დასწვეს გერმანელთა 3 ტანკი.

• • •

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას ანეიოთარიბდნენ წინ წაიწიეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. 6 ნაწილი გარსშეძარეს ტყეს ცეცხლი ანთეს. ეს ტყე ფაშისტებს ეგონათ, ადვილად ვერ გადალახავენ. ჩვენ ჯარებმა ეს ტყეც ადვილად გადალახეს. ბრძოლა ტყეში ორ საათს გაგრძელდა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

31 იანვრის საღამოს ცნობა

31 იანვარს ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა დაიკავეს რაიონული ცენტრი და რკინიგზის საკვანძო სადგური ბელორეჩენსკაია, რაიონული ცენტრები — **გორიაჩი კლიუჩი** და **ციაზანსკაია.**

ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ლენინგრადისა და **ვოლხოვის** ფრონტების ჯარები განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებით.

• • •

ბანგლილი კვირის მანძილზე, 24-დან 31 იანვრამდე, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 141 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 93 თვითმფრინავი დავკარგეთ.

• • •

30 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 200-ზე მეტი ავტომანქანა ჯარებიანად და ტყვირთიანად, ჩაიშალა 3 საარტილერიო ბატარეა, დაამტვრიეს რკინიგზის ეშელონი, აიფეთქეს 2 საწყობი საომარი მასალა, გაჩაფანტეს და ნაწილობრივ გაანადგურეს მოწინააღმდეგის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

დონის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ მიტლერელთა დაქსაქსული ჯგუფების მოსპობას. სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის ახლოს დღის განმავლობაში ჩვენმა ნაწილებმა ტყვედ წამოიყვანეს 5.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორის რამდენიმე გერმანელი გენერალი. წამოღებულია 90 ქვემეხი 75 ტყვიამფრქვევი, 20 ავტომანქანა და რადიოსადგური.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, მის კონტრიერიშებს იგერიებდნენ და შეტევას განაგრძობდნენ. ერთი უბანზე ჩვენი ქვეგანაყოფები გერმანელთა ზურგში შეიჭრნენ. იერიში მიიტანეს და გაანადგურეს მოწინააღმდეგის სამარშო ბატალიონი, 5 მოტორიზებულ ნაწილზე. იერიში მიიტანეს გერმანელთა 15 ტანკმა და მეავტომატეთა დესანტმა. საბჭოთა მებრძოლებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ცეცხლი წაუკიდეს 3 ტანკს და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაულიტეს ბევრი გერმანელი მეავტომატე.

• • •

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. სტარობელსკის დასავლეთით საბჭოთა ნაწილებმა მტრის წინააღმდეგობა გასტეხეს და მისი თავდაცვის ძლიერ გამაგრებული პუნქტები დაიკავეს. მოსპობილია გერმანელთა 10 ტანკი და 300-ზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია 15 ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლ.

• • •

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა 20 დასახლებული პუნქტი და რკინიგზის ორი სადგური დაიკავეს. 6-ნაწილის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 13 ტანკი. 7 ქვემეხი, 5 ექსულელიანი ნაღმსატყორცნი. ყველგანმავალი, 22 ავტომანქანა, 4 რადიოსადგური და 25 კილომეტრზე მეტი სიგრძის ტელეფონის კაბელი. რკინიგზის ერთი სადგურის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს გერმანელთა ჯავშნიანი მატარებელი, რაიონულ ცენტრ ჩერნიანკაში, რომელიც გუშინ დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა, ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 400 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 4 საარტილერიო საწყობი ყუმბარებიანად, 5 ორთქლმავალი და რკინიგზის 100 ვაგონი სამხედრო საჭურვლიანად.

1 თებერვლის ღილის ცნობა

31 იანვრის ღამის განმავლობაში **სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ლენინგრადისა** და **ვოლხოვის** ფრონტების ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს წინანდელი მიმართულებით.

• • •

დონის ფრონტის ჯარებმა დაამთავრეს სტალინგრადის ცენტრალური ნაწილის დასავლეთით გარშემორტყმული გერმანელ ფაშისტთა ჯარების ჯგუფის ლიკვიდაცია. სტალინგრადის ჩრდილოეთით ჩვენი ნაწილები განაგრძობდნენ წინააღმდეგობის გამწევ ჰიტლერელთა ჭლეტას. მოსპობილია 900-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დიდძალი დაკლ.

• • •

სამხრეთის ფრონტის ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრიერიშებს და წინ მიიწევდნენ. 6 შენაერთმა დაიკავა გერმანელთა მიერ გამაგრებული 3 დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ ერთი ტანკეტი. 3 ქვემეხი. ერთი ექსულელიანი ნაღმსატყორცნი და სხვა დაკლ. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოწინააღმდეგის ორი კონტრიერიში მოიგერიეს. მოსპობილია გერმანელ მეავტომატეთა ორი ოცეული, დაზიანებული და დამწვარია მტრის 4 ტანკი.

• • •

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარები გაანაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას და განდევნეს გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-ზე მეტი ჯავში. ხელთ ვიგდეთ 3 ქვემეხი, 7 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 2 ნაღმსატყორცნი. 18 ტყვიამფრქვევი. საომარი მასალის საწყობი და სხვა დაკლ. ჩვენი ტანკისტები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის ზურგში და გაანადგურეს გერმანელთა სამარშო ბატალიონი, რომელიც ფრონტის ხაზს უახლოვდებოდა.

• • •

ვორონეჟის დასავლეთით ჩვენი ჯარები გაანაგრძობდნენ შეტევას. ხოლო ძალების ნაწილით სპობდნენ გარშემორტყმული გერმანელთა და უნგრელთა დივიზიების ნაშთებს. კასტორნოეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში 6 შენაერთის მებრძოლებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ერთ-ერთი გარშემორტყმული ჯგუფი. მოსპობილია მტრის მრავალი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია 1.750 ტყვე. სხვა უბანზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით დამტვრეულია მოწინააღმდეგის ერთი ჯავშნიანი მატარებელი და ორი ორთქლმავალი.

• • •

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევის წარმატებით განვითარებას და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ერთ უბანზე ჩვენმა ტანკისტებმა და მოტოქვეითმა ჯარმა შეაღწიეს მოწინააღმდეგის ზურგში და გაანადგურეს გერმანელთა კოლონა. მოსპობილია 3 თვითმავალი ქვემეხი. 18 ავტომანქანა საომარ მასალიანად, 7 ყველგანმავალი და 25 მოტოციკლი. სხვა უბანზე გვარდიელმა კავალერისტებმა ღამის იერიშში აჰკუფნეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი და გაათავისუფლეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. ხელთ ვიგდეთ საომარი მასალების დიდი საწყობები.

• • •

ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა, დაიკავეს რა რაიონული ცენტრი ბელორეჩენსკაია, ხელთ იგდეს 150 ვაგონი სამხედრო ქონებიანად, საწყობები საომარ მასალიანად და საჭურვლიანად. სხვა უბანზე ჩვენი ნაწილები გავიდნენ გზატეხილზე დიდ დასახლებულ პუნქტთან და უკან დასახევი გზა გადაუჭრეს გერმანელებს. წინასწარი ცნობებით, ხელთ ვიგდეთ 200-ზე მეტი ავტომანქანა. 190 მოტოციკლი, 20 ტყვიამფრქვევი. საქონლის დიდი ჯოგი და სხვა დაკლ. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 180 ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

კურსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი უეცრად თავს დასხა გერმანელთა გარნიზონს. საბჭოთა პატრიოტებმა მტრის 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი ჭეულიტეს. განადგურებული გარნიზონის ნაშთები გაიქცა-გამოიქცნენ პარტიზანებმა ხელთ იგდეს 10 ტყვიამფრქვევი, 64 შაშხანა და დიდძალი ვაზნა.

კრასნოდარის მხარეში მოქმედი რაზმის პარტიზანებმა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებთან ბრძოლაში 90 ჰიტლერელი გაულიტეს.

• • •

გერმანელი ფაშისტი არამზადები სისტემატურად რწყავენ უკრაინის დროებით დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებს. დეკემბრის დამლევს სუმის ოლქის ქალაქ გლუხოვში და ახლომახლო სოფლებში გერმანელებმა მასობრივად დაჟაპატიმრეს მშვიდობიანი მცხოვრებნი. გუსტაპოს ჯელრდმულებში ჩაყრილ იქნა 1.000-მდე კაცი. ჰიტლერელმა ჯალათებმა საშინლად აწამეს დაპატიმრებულნი — მათ ხელებს, ულრძობდნენ და სტეხდნენ. თმას წაგლეჯენ, გახურებული შანთით სხეულს ღაღადნენ. მრავალი დღის წამებისა და აბუჩად აგდების შემდეგ ფაშისტმა მტარვალებმა დაჰატიმრებულნი ქალაქგარეთ გაიყვანეს და დახვრიტეს.

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

ქარხანამ, რომლის დირექტორია ამხ. ა. მელაძე, იანვრის გეგმა ოთხი დღით ადრე 120 პროცენტით შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია და ათვისებულია თავდაცვითი მნიშვნელობის იხალი პროდუქცია.

წინ მიდის სპეცსამჭრო, (უფროსი ამხ. ს. სუკიასოვი). რომელმაც გეგმა 135 პროცენტით შეასრულა, სახარატო საამქრომ კი (უფროსი ამხ. მ. მაჩაბელი)—125 პროცენტით.

106.4 პროცენტით

თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკამ იანვარში პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,4 პროცენტით შეასრულა. კარგად იმუშაეს პირველმა და მესამე შემკერავმა კორპუსებმა, რომლიბმაც მთლიანად შეასრულეს სპეცდავალებათა და სამოქალაქო პროდუქციის გამოშვების გეგმები.

იანვარში განსაკუთრებით შესამჩნევი წარმატებები მოიპოვა **საშტამპო საამქრომ** (უფროსი ა. ანისონიანი), რომელმაც შემკერავი კორპუსებისათვის გამზადებული მასალის ჩაბარების გეგმა 107 პროცენტით შეასრულა და ამით შესამჩნევად გადააჭარბა სოცშეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას.

ლ. მუხაძე

წითელ არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახების დახმარების კვირეული

1 თებერვლიდან საბჭოთა საქართველოს მშრომელები ატარებენ წითელი არმიის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახების დახმარების კვირეულს. ასეთი კვირეულის ჩატარების პატრიოტული ინიციატივა ეკუთვნის ივანოვოს ოლქის მშრომელებს, რომლებმაც სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლთა ოჯახებისათვის ზრუნვას ორგანიზებული მასობრივი ხასიათი მისცეს.

ივანოვოს ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების შესანიშნავი პატრიოტული ინიციატივა გამოიხატა ივნვარში „წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახებისათვის დახმარების კვირეულის“ ჩატარებით.

ოლქის 20 ათასმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა აქტივისტმა კვირეულის პერიოდში ჩამოიარა ფრონტელთა ოჯახები, გამოარკვია მათი საჭიროებანი და ათასობით ოჯახს გაუწია დახმარება.

კვირეულის შედეგების შესახებ თავდაცვის სახალხო კომისარ ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი გაგზავნილ პატაკში ივანოველები სწერენ:

„დახმარება, რაც ეწევა წითელარმიელთა და მეთაურთა ოჯახებს, ხელს უწყობს საბჭოთა ზურგის განმტკიცებას და, მაშასადამე, წარმოადგენს წითელი არმიისადმი დახმარებას მის გმირულ ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დაე ჩვენს სახელოვან მებრძოლებსა და მეთაურებს, რომლებიც ანადგურებენ მტერს, მუდამ ახსოვდეთ, რომ მათი მახლობლები გარემოსილნი არიან მზრუნველობით“.

ივანოვოს ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კეთილშობილური, პატრიოტული ინიციატივა მისაბაძი გახდა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხისათვის. მან აქტიური გამოხმაურება ჰპოვა ჩვენშიც, საბჭოთა საქართველოში, რომლის ქალაქებსა და რაიონებში, ივანოვოელთა მსგავსად, 1-დან 7 თებერვლამდე ტარდება „წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახების დახმარების კვირეული“.

კვირეულის განმავლობაში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საწარმოების დაწესებულებების, მტს-ების, კოლმეურნეობების აქტიის ფართოდ გამოყენებით შესწავლილი იქნება სამხედრო მსახურთა ოჯახების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და გამორკვეული იქნეს ოჯახის საჭიროებანი. განსაკუთრებული მზრუნველობა გაეწევა ფრონტელთა ოჯახებს.

ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად უნდა გამოინახოს სათანადო წყაროები. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობაში ნებაყოფლობითი საფუძველზე კვების პროდუქტების, ტანსაცმლის, თეთრეულის, ფეხსაცმლისა და სხვ. შეგროვებას. კვირეულის მიზანია საწარმოთა და ორგანიზაციათა ფართოდ მოეკიდონ საფრონტელთა ოჯახებისათვის შეშის დამზადება და სახლებში მიზიდვა. ყველა საბინაო ცენტრში ფრონტელთა ოჯახებისათვის უნდა შეიქმნას სათბობისა და სურსათის მარაგი. დახმარების მეორე სახეა აგრეთვე ფრონტელთა ოჯახებისათვის საბინაო ფართობის, მიცვმა, ბინების რემონტი, დათბუნება და წესრიგში მოყვანა. კოლმეურნე-საბჭოთა მსახურთა ოჯახები, რომელთაც პირუტყვი ჰყავთ, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პირუტყვის ზამთრის საკვებით, ხოლო ვისაც არა ჰყავს, მათ უნდა გაეწიოს დახმარება პირუტყვის შესაძენად. სოფელ ადგილებში უნდა გამოიყოს მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური სამოსტნეებისათვის და გაეწიოთ დახმარება საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავებაში.

ამ მიზნით ტარდება „წითელი არმიისა და წითელი ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ოჯახების დახმარების კვირეული“

კვირეული დაიწყო მთელმა რიგმა რაიონებმა უკვე აპრილს სათანადო მუშაობა ადგილებზე და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს

თითოეული პარტიული, საბჭოთა. პროფკავშირული, კომკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის თითოეული საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმეა მაღალ პოლიტიკურ დონეზე ჩავატაროთ ეს ეკეთილშობილესი და უალრესად პატრიოტული ღონისძიება.

ფრონტელთა ოჯახების დახმარების კვირეული გადავაქციოთ ჩვენი ქვეყნის ყველა მებრძოლისა და მეთაურებისადმი საბჭოთა ხალხის ღრმა სიყვარულის, მათს ოჯახებზე მშობლიური მზრუნველობის მძლავრ დემონსტრაციად!

„ჩვენ განსაკუთრებული მიზეზი გვაქვს იმისა, რომ გვიხაროდეს

გერმანიის მეექვსე არმიის მოსპობა“

ბელგიის ინფორმაციის სამინისტროს განცხადება

ლონდონი, 31 იანვარი (საკდესი). სტალინგრადთან გერმანიის მეექვსე არმიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ბელგიის ინფორმაციის სამინისტრომ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: „მეექვსე არმია გაჩეჩა სტალინგრადთან, რომლის გარშემორტყმასაც იგი ცდილობდა და რომლის აღებასაც კვეხნით დაპირებული იყო ჰიტლერი. მეექვსე არმია! ბელგიელებს განსაკუთრებული მიზეზი აქვთ იმისა, რომ უხაროდეთ მისი მოსპობა, რადგან სწორედ ამ არმიას ჰქონდა დავალებული 1940 წლის 10 მაისს შეეჩეხოთ მათს ქვეყანაში, და ამ არმიამ ვერაგობითა და ეხეში ძალით სძლია ჩვენს ჯარებს ალბერტის არხთან. მან ვრიგალვითი გადაიარა ბელგია, ყველგან შეჰქონდა გაპარტახება და სიკვდილი და მასთან ბრძოლაში დაიღუპნენ ჩვენი მამაცი ჯარისკაცების ლეგიონები. პოლკები, რომლებითაც ამე ამაყობდა ჰიტლერი, იდუმალებით გარემოცულნი, საკუთარი ძალებით გაბრუებულნი და გულზეიადნი, ტრიუმფით მიმოდიოდნენ მარშით ჩვენს გაპარტახებულ ქალაქებში. როგორც გამარჯვებულნი. ახლა ისინი რუსეთის ღრმა თოვლქვეშ წვანან ჩვენი საზღვრებიდან ათასობით მილზე. მათ კი არ აიღეს სტალინგრადი, არამედ სტალინგრადმა შეიპყრო ისინი. იმათთვის, ვინც ბულისსმომკელელი მათი სიამაყის ულაჯო მოწმენი იყვნენ. ეათი გაყინული გვამები სიმბოლოა გარდუვალი მართლმსაჯულებისა, დაწუბული მისახლეველისა და დაპირებაა სრული ანგარიშის გასწორებისა“.

ჰიგლერული პრესა შეშფოთებულია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობით

სტოკჰოლმი, 31 იანვარი (საკდესი). გერმანელ ფაშისტთა პრესა აშკარად შეშფოთებულია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერელთა ჯარების დამარცხებებით. გაზეთი „ბერლინერ ლოკალანციგერი“ აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთში „არაჩვეულებრივად მძიმე ბრძოლები“ სწარმოებს. „ყოველმა გერმანელმა—ქალმა და კაცმა—უნდა შეიგნოს.— სწერს გაზეთი, — რომ ფრიად სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. მაგრამ თუ ვინმე არასავსებით კაგებს, რომ ეს უალრესად დაძაბული მდგომარეობის ნიშნებია, მას გარკვეული და არაორაზროვნად უნდა მიეთითოს, რომ ახლა საქმე ეხება არაჩვეულებრივად მძიმე ბრძოლებს აღმოსავლეთში. სულ ქარაფშუტა ადამიანმაც კი უნდა შეიგნოს ამ სიტყვების მნიშვნელობა: არაჩვეულებრივად მძიმე ბრძოლები აღმოსავლეთში“.

გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატი“ აფრთხილებს გერმანიის მოსახლეობას, რომ „უალრესად სერიოზულია მდგომარეობა“. რომელიც ამის, გამო შეიქმნა, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანიის ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული იყო შეტევიდან ოშმალად თავდაცვაზე გადასულიყო. „უკანასკნელი რეზერვების გამოყენებას მოითხოვს ფრონტი, უკანასკნელი რეზერვების გამოყენებას მოითხოვს ზურგიც“, — აღნიშნავს გაზეთი. მას ბანს აძლევს „ბერლინერ ლოკალ-ანციგერი“, რომელიც ისტერიულად მოუწოდებს მოსახლეობას გამოიყენოს უკანასკნელი ფიზიკური და სულიერი ძალები.

ჰიტლერელები მეტად ჩაფიქრა გერმანელი ხალხის დაღლილობის ნიშნებმა, რაც სულ უფრო და უფრო ირეხს თავს, და გერმანიაში ომის საწინააღმდეგო განწყობილების ზრდამ. გაზეთი „ნაციონალ ციატუნგი“ მოუწოდებს გერმანელ ხალხს „ნუ გამოიჩენს დაღლილობის ნიშნებს“. „გერმანელ ხალხს, — სწერს გაზეთი, — რასაკვირველია, ძალიან ესურს, რომ ომი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს, მაგრამ მან ძალიან კარგად იცის, თუ რის მომასწავებელი იქნებოდა დაღლილობის ნიშნების გამოჩენა“. გაზეთი „ანგრიფი“ ილაშქრებს იმ გერმანელთა წინააღმდეგ, რომელნიც „რაღაც განსაკუთრებული კეთილი კითხულობენ წარა-მარა. თუ კიდევ რამდენ ხანს გასტანს ომი და რა შედეგს მოიტანს ყოველივე ეს საბოლოოდ“. „თუ მათ პასუხს მოსთხოვ ასეთი ლაპარაკისათვის, — შეწარედ აღნიშნავს გაზეთი. — ისინი გიპასუხებენ, რომ ეს მათი პირადი აზრი კი არ არის, არამედ ხალხის აზრია“.

საომარი მოქმედება ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 31 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისის ჯარების ჯავშნისტანკო ავანგარდებმა საზღვარი გადალახეს და ტუნისის ტერიტორიაზე შეავიდნენ. ცენტრალურ სექტორში საარტილერიო და თოფის სროლა იყო.

დღეს ინგლისელთა მეორე კოლონამ ტუნისის საზღვარი გადალახა და სანაპიროს გასწვრივ მიიწევს პირველი კოლონის პარალელურად.

ტუნისში მყოფი ამერიკის ჯარები, რომელნიც გაბესისაკენ უტიტვენ. ამჟამად სანაპიროს მახლობლად იმყოფებიან.

ჩრდილოეთ აფრიკის საფრანგეთის ჯარების შტაბის კომუნიკეში ნათქვამია. რომ კიირუანის მთის რაიონში ფრანგების ერთ-ერთმა ნაწილმა გერმანიის ჯარებს უკან დაახევინა ზოგიერთი პოზიციიდან.

ნიუ-იორკი, 31-იანვარი (საკდესი). ინტიტედ პრესის სააგენტო იუწყება. რომ სამხედრო სამინისტროს ცნობებით. ჩრდილოეთ აფრიკის ომაშიაში ამერიკის შეერთებული შტატების ზარალია 3.168 კაცი, აქედან 571 მოკლულია. 1.582 — დაჭრილი და 1.015 — უკვალოდ დაკარგული.

ლონდონი, 1 თებერვალი (საკდესი). ოფიციალური ცნობით, სანაპირო უბანზე მოქმედმა ინგლისელთა ჯარებმა გუშინ ზეარა დაიკავეს და ამ ქალაქის დასავლეთით მოწინააღმდეგის პირისპირ იმყოფებიდნენ.

ტუნისში მტრის ნაწილებმა, ტანკების დახმარებით, დიდი ზარალის ფასად რამდენიმე შეავიწროვეს ფრანგთა ჯარები.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ღერძის საჰელმწიფოთა იმ ჯარების შემადგენლობაში, რომლებიც ტუნისში აოქმედებენ, შედიან გერმანიის მეათე ჯავშნისტანკო დივიზია და იტალიის პირველი ქვეითი დივიზია „სუპერგა“ ეს უკანასკნელი, გერმანელთა ჯარების დახმარებით, ინარჩუნებს ხაზს, რომელიც პონ-დიუ-ფასსა და უსელტიას შორის მდებარე მაღლობის გასწვრივ გადის.

მოკავშირეთა ავიაციამ რამდენიმე გაფანტული თავდასხმა მოახდინა მოწინააღმდეგის მთელ რიგ მნიშვნელოვან სამხედრო ობიექტებზე და მის კომუნიკაციებზე ზურგში ბევრგან გაჩნდა ძლიერი ხანძარი და მოხდა აფეთქება. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 8 თვითმფრინავი.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა ჰამბურგზე

ლონდონი, 31 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 30 იანვარს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ჰამბურგი დაბომბეს.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჰამბურგზე 30 იანვარს ღამით ინგლისის მძიმე ბომბდამშენების თავდასხმის შედეგად ქალაქში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. გარდა ამისა. დაბომბილ იქნა სხვადასხვა ობიექტები დასავლეთ გერმანიაში.

გუშინდელი თავდასხმა ჰამბურგზე 94-ე თავდასხმა იყო. უკანასკნელი თავდასხმა ამ ქალაქზე ნოემბერში მოხდა.

რუზველტი ვაშინგტონს დაბრუნდა

ვაშინგტონი, 1 თებერვალი (საკდესი). რუზველტი ვაშინგტონს დაბრუნდა ჩრდილოეთ აფრიკიდან.

გადაყენებულია გერმანიის ფლოტის სარდალი—აღმირალი რედერი

ჟენევა, 31 იანვარი (საკდესი). ბერლინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 30 იანვარს ჰიტლერის ბრძანებით „ჯავშნოსანთა ბრძანებლობის მდგომარეობის გამო“ დათხოვნილია გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი—აღმირალი რედერი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლად დანიშნა აღმირალი დენიცი. რომელიც ბოლო დრომდე წყალქვეშა ფლოტს სარდლობდა.

იზალიის გენერალური შტაბის უფროსი თანამდებობიდან გადაყენეს

ჟენევა, 31 იანვარი (საკდესი). როგორც რომიდან გადმოგვცემენ. იქ ოფიციალურად არის გამოცხადებული, რომ გადაყენებულია გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კავალერო. ოფიციალური ბრძანება კავალეროს გადაყენების შესახებ დასაბუთებულია მისი „პირადი თხოვნით გადადგომის შესახებ“. კავალეროს ნაცვლად გენერალური შტაბის უფროსად დანიშნულია გენერალი ვიტორიო ამბროზიო. რომელიც აქამდე არმიის შტაბის უფროსად იყო.

გერმან ლები ბარბაროსულად უსწორდებიან ლუქსემბურგის მოსახლეობას

ლონდონი, 30 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლუქსემბურგი განაგრძობს ბრძოლას გაურთიანებული ერების მხარეზე რეპრესიის სახით გერმანელები ყოველდღე ჰგზავნიან ლუქსემბურგიდან 50-დან 100-მდე ოჯახს. მიმართავენ უფრო მხეცურ ზომებსაც. მაგალითად, პაპუებს მშობლებს აშორებენ და სხვა გვარებით ჰგზავნიან გერმანიასა და პოლონეთში.

ავაგოთ საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიები საბჭოთა საქართველოს

შემგვეპი წითელ არმიის დასახმარებლად

Საბჭოთა საქართველოს მშრომელები დიდი [illegible] აღფრთოვანებით აგროვებენ თანხებს საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაშენებლად.

ახალციხის რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. დეკიძე) თვითმფრინავთა ასაგებ ფონდში შეიტანეს 2.794.650 მანეთი.

დღითი-დღე იზრდება საბრძოლო თვითმფრინავთა ასაგები ფონდი **ხულოს** რაიონში (რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. ტაკიძე), სადაც 31 იანვრისათვის შეგროვებულია 2.600.000 მანეთი, **გუდაუთის** რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. კოკაია) შეაგროვეს 2.463.000 მანეთი.

2.450.000 მანეთი შეიტანეს თვითმფრინავების ასაგებ ფონდში **წალენჯიხის** რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. კვარაცხელია), ხოლო **ლუკსემბურგისამ** (რაიკომის მდივანი ამხ. [illegible]) — 1.260.000 მანეთი, **ადიგენის** რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. [illegible]) — 1.215.000 მანეთი. **წყალტუბოს** რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. ტოგონიძე)—1.022.600 მანეთი. **წულუკიძის** რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. გორგიძე) — 1.200.800 მანეთი, **ჩხარის** რაიონის მშრომელებმა (რაიკომის მდივანი ამხ. ბაქრაძე) — 1.010.600 მანეთი და სხვ.

საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად თანხების შეგროვება წარმატებით მიმდინარეობს.

დიდი სტალინის მისალმებამ კოლმეურნეები აღაფრთოვანა

ახალი შრომითი მამაცობისათვის

გალი („კომუნისტის“ საკ. კორ.). გალის რაიონის ოქემის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამ. ბ. ჯგუბურიამ თავისი პირადი დანაზოგიდან სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნეს“ მშენებლობის ფონდში შეიტანა 300.000 მანეთი ამ კოლმეურნეობის წევრებმა ეფდიდესი სიხარულით მიიღეს მონაწილეობა სატანკო კოლონის მშენებლობისათვის სახსრების შეგროვებაში. ამის შესახებ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ჯგუბურიამ დეპეშა გაუგზავნა **დიდ სტალინს.** ამხანაგმა სტალინმა თავისი სალამი და წითელი არმიის მადლობა შემოუთვალა გალის რაიონის ოქუმის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებს. კოლმეურნე ქალებსა და პიროდად ამხ. ჯგუბურიას წითელ არმიაზე ზრუნვისათვის.

ეფდიდესი სიხარულით შეხვდნენ ოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები ამხანაგ **სტალინის** მისალმებას 29 იანვარს კოლმეურნეობაში შესდგა მიტინგი მიძღვნილი ამხანაგ სტალინის მისასალმებელი დეპეშასადმი ამხანაგ სტალინის დეპეშის ტექსტი მიტინგის მონაწილეებს გაეცინო ამ. ბ. თ. კ. ბ. (ბ) გალის რაიკომის მდივანმა ამხ. თოდუამ.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ცნობილი სტახანოველი ბრიგადირი ამხ. ჩოქოია. ჩოქოიამ ამხანაგ სტალინის დეპეშამ ჩვენ აღგვაფრთოვანა ახალი შრომითი მამაცობისათვის. არაფერს არ დავიშურებთ ტბოროტესი მტრის — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის. ამხანაგ სტალინის მისალმების პასუხად მან აიღო ახალი ვალდებულებანი და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში შეიტანა 30.000 მანეთი.

მიტინგზე ფართოდ გაიშალა სახსრების შეგროვება საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად მოხუცმა კოლმეურნემ თედო შამათავამ, რომლის ორი შვილი წითელ არმიაშია, ესკადრილიების მშენებლობის ფონდში შეიტანა 5.000 მანეთი სახანოველმა ხატა ახალციხელმა — 10.000 მანეთი, საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების ფონდში ამ დღეს შეგროვებულ იქნა სულ 1.000.000 მანეთი.

კოლმეურნეთა მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ს. ყ. კ. (ბ) ოფხაზოთის სოლოკო კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია, რომელმაც კოლმეურნეებს მიულოცა ამხანაგ სტალინის დეპეშის მიღება და მოუწოდა კიდევ უფრო გაძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

ოქუმელმა კოლმეურნეებმა აღსარეს 1943 წლის გეგმის გადამტარებით მისცენ ქვეყანას 125 ტონა ჩაის მწვანი ფოთოლი. 20 ტონა ოამბალი. თავდაცვის სახალხო ფონდში საგაზაფხულო კულტურები დასთესონ 10 ჰექტარზე.

მიტინგის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს დიდ სტალინს.

ბ. მერკვილაძე

სამხედრო პირთა დაჯილდოება ბუდაპეშტში

ნენეკა, 30 იანვარი (საკდესი). არსებული ცნობებით, ბუდაპეშტში ქალაქსა და მის მიდამოებში დაბანაკებულ უნგრელთა ნაწილების ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა. იუწყებიან, რომ იმის შემდეგ. რაც ბუდაპეშტში მიაღწია ცნობებმა საბჭოთა ჯარებმა ფრონტზე უნგრელთა მთელი რიგი დივიზიების განადგურების შესახებ ამ ნაწილებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ომის საწინააღმდეგო განწყობილება. დაპატიმრებულთა შორის უმაღლესი ოფიცერებიც არიან. უცხოელთა წრეებში აღნიშნავენ. [illegible] დაპატიმრების სამაგალითო გახდა მღელვარება. რომელიც ბუდაპეშტის გარნიზონის ზოგიერთ